



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კავშირის განძი

კავშირის განძი, ვერცხლის მონეტების განძი, აღმოჩნდა 1921 სოფ. კავშირში (ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი). ხვნის დროს ნაპოვნია 38 მონეტა (36 ც. არაბული, 2 ც. სასანური). 1924 მხოლოდ მათი ერთი ნაწილი აღმოჩნდა თსუ-ის ნუმისმატიკის კაბინეტში. მოგვიანებით ისინი გადაეცა საქართვე. სახელმწ. მუზეუმს.

განძის შედგენილობა ასეთია: ა) სასანური – ხოსრო II-ის (590– 628) დროინდელი მონეტები; ბ) თაბარისტანის აბასიანი მმართველის, ომარ იბნ ალ-ალას დროს მოჭრილი თაბარისტანის ერთი 120 წლის (პიჯრით $155=771/72$) მონეტა; გ) ომაიანი ხალიფების – ვალიდ I-ის, სულეიმანის, ჰიშამის და იაზიდ III-ის – სახელით შემდეგ გარაფხანებში მოჭრილი დირჰემები: ჰორმუზი, დარაბჯერდი, საბური, ანდალუსი, ვასიტი (708–743); დ) აბასიანი ხალიფების – მანსურის, მაჰდის, რაშიდის, ამინის და მამუნის – სახელით შემდეგ გარაფხანებში მოჭრილი დირჰემები: ქუფა, ბასრა, ბაღდადი, აბასია, ჯეი, მუჰამადია, კასრ-ას სალამი, ჰარუნაბადი, იფრიკია, არმინია, გერენჯი, ბალხი, ნისაბური (754– 810). განძი ჩამარხული უნდა იყოს IX ს. მეორე ნახევარში.

ლიტ.: დ უ ნ დ უ ა გ., ჯ ა ლ ა ღ ა ნ ი ა ი., ქართული ნუმისმატიკური ლექსიკონი, თბ., 2009; ლ ო მ ო უ რ ი თ., სასანურარაბული ფულების სამი კახური განძი, კრ.: ფულის მიმოქცევის ისტორიისათვის შუა საუკუნეების საქართველოში, თბ., 2005; ჯ ა ლ ა ღ ა ნ ი ა ი., ქუფური მონეტების ტოპოგრაფია საქართველოში, თბ., 1972; Д ж а л а г а н и а И. Л., Иноземная монета в денежном обращении Грузии V–VIII вв., Тб., 1979; П а х о м о в Е. А., Клады Азербайджана и других республик и краев Кавказа, вып. 2, Баку, 1938.
